შემოსავლების
სამსახური

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია 2015-2016

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

შემოსავლების
სამსახური

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

2015 - 2016

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge

შინაარსი

შესავალი

01 ზოგადი მიმოხილვა 2

02 განხორციელებული პროექტები 4

საბიუჯეტო მიმოხილვა და საგადასახადო შემოსავლები

03 გადამხდელთა სტატუსი და რაოდენობა 7

04 ფიზიკური და იურიდიული პირების წილი საერთო საგადასახადო შემოსავლებში 2005 წლიდან 2014 წლის ჩათვლით 8

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

05 შემოსავლების სამსახურის მიზანი და მიდგომა გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მიმართ 9

06 ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადამხდელთა ქცევაზე 10

07 გადამხდელთა სეგმენტაცია ფისკალური ეფექტისა და რისკის დონის მიხედვით და შემოსავლების სამსახურის მიდგომა თითოეულ სეგმენტზე 12

08 გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მიზეზები 14

შემოსავლების სამსახურის 2015-2016 წლების გადასახადის გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

09 რისკის იდენტიფიკაცია და ანალიზი 20

10 ეფექტური სტრატეგიის შემუშავება 20

11 ძირითადი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება 20

12 საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფები 21

განხორციელებული პროექტები 25

ძვირფასო მოქალაქენო

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის
უფროსი; ფინანსთა მინისტრის
პირველი მოადგილე;

შემოსავლების სამსახური მიისწრაფის გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობის გამარტივებისაკენ. ჩვენ ვიკვლევთ მათთვის რთულ საკითხებს, რათა დავეხმაროთ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების სწორად და მარტივად შესრულებაში. სურვილი გვაქვს, ვიყოთ მაქსიმალურად ადვილად ხელმისაწვდომი ყველა გადამხდელისათვის. ვაფასებთ გადამხდელთა გამოხმაურებას ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით და ვითვალისწინებთ მას მომავალი გეგმების შედგენისას, ვთავაზობთ სანდო და დასაბუთებულ რჩევებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით და ვეხმარებით საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ სათანადო პირებს.

ჩვენი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც გადამხდელის უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული, ისინი თავისუფლად შეძლებენ ურთიერთობას შემოსავლების სამსახურთან და დარწმუნდებიან ჩვენს პროფესიონალიზმში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და უცხოელი ექსპერტების დახმარებით შევიმუშავეთ "საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია", რომლის დანერგვას მრავალ ქვეყანაში შედეგად მოყვა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და გასატარებელი საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შემცირება. აღნიშნულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გადასახადის გადამხდელები აცნობიერებენ, რომ ისინი არიან ქვეყნის სტაბილური განვითარების მთავარი წყარო და მათ მიერ გადახდილი გადასახადები საბოლოო ჯამში მათსავე კეთილდღეობას ხმარდება.

"საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის" შემუშავება შემოსავლების სამსახურის მიმართ გადასახადის გადამხდელების ნდობის ამაღლების გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში უფრო გაიზრდება იმ გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა, რომლებიც ნებაყოფლობით ადეკლარირებენ და იხდიან კუთვნილ გადასახადებს, რითაც ერთად შევძლებთ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში!

შემოსავლების სამსახურის უფროსი;
ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე;

გიორგი თაბუაშვილი

ზოგადი მიმოხილვა

შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ჩვენი მთავარი ფუნქციაა მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, შესაბამისად საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა და გაუმჯობესება.

ჩვენ ვქმნით საჯარო და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემას, ასევე ვახდენთ მოსახლეობისა და გადასახადის გადამხდელთა ინფორმირებას, რაც ამ სისტემის გამართული ფუნქციონირების ქვაკუთხედია. გადასახადის გადამხდელისათვის მაღალკვალიფიციური მომსახურებისა და კონსულტირების შეთავაზება შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების გზით ხორციელდება.

ჩვენი მიზანია სამართლიანი ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, რათა საქართველო იყოს ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა ინვესტიციების განხორციელებისა და ბიზნესის კეთების სიმარტივის თავლსაზრისით, საიმედო პარტნიორი საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული და პროგრესული წევრი, რომელიც სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებით სისტემატურად ამარტივებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გატარდა არაერთი რეფორმა და დაინერგა სხვადასხვა სახის ელექტრონული მომსახურება, რამაც საგრძნობლად გაამარტივა ურთიერთობა შემოსავლების სამსახურსა და მის მომხმარებლებს შორის. ჩვენი დახმარებით გადასახადის გადამხდელს ეხარჯება უმცირესი დრო და რესურსები საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ჩვენ მივისწრაფით მარტივი და ნათელი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნისკენ, რომელიც გადასახადის გადამხდელის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტი და მისთვის დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.

ზოგადი მიმოხილვა

„საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია" მუშაობს თქვენთვის!

ზ ადამხდელთა უმრავლესობა გადასახადებს იხდის ნებაყოფლობით და ჩვენ მივისწრაფით ამ პროცესის გასამარტივებლად. ასევე ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდს იმ გადამხდელთა გამოსავლენად, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს და მივმართავთ ზომებს გადასახადების გადახდისგან თავის არიდების ფაქტების აღმოსაფხვრელად. შემოსავლების სამსახურში მუდმივად მიმდინარეობს მრავალმხრივი განხილვა გადამხდელების შესახებ. სურვილი გვაქვს გავიგოთ, რა უნდათ მათ და როგორ შეიძლება დავეხმაროთ სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში. გადამხდელთა ჯგუფებზე დაკვირვების შედეგად ვცდილობთ შევიმუშაოთ სტრატეგია და განვსაზღვროთ, თუ როგორ გავზარდოთ გადამხდელთა საგადასახადო ვადებულებების ნებაყოფლობითი შესრულება და როგორ ვიმოქმედოთ გადასახადებისგან თავის არიდების შემთხვევებში.

შემოსავლების სამსახურის „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია" არის ამ განხილვებისა და გადაწყვეტილებების ლოგიკური შედეგი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტები და მიღწევები, საგადასახადო შემოსავლების როლი ქვეყნის ეკონომიკაში და გადამხდელთა ის მიზნობრივი ჯგუფები, რომელთა გადასახადების ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების გაუმჯობესება აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება მიმდინარე წელს.

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში ჩვენი მიზანია ფოკუსირება მოვახდინოთ პრობლემურ ჯგუფებზე და გავაცნოთ მათ ის ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდება ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების გაზრდის კუთხით. „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია" ფარგლებში გავაგრძელებთ იმ გადამხდელთა მხარდაჭერას, რომელთაც სურთ გადაიხადონ გადასახადები და ამავდროულად შევინარჩუნებთ მკაცრი კონტროლის პოლიტიკას იმ გადამხდელებთან, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

განხორციელებული პროექტები

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმებიდან საგადასახადო სფეროს რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებულია. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში 2003 წელს არსებული 26 სახის გადასახადის ნაცვლად, დღეის მდგომარეობით მხოლოდ 6 სახის გადასახადი მოქმედებს, კერძოდ:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი;
4. აქციზი;
5. იმპორტის გადასახადი;
6. ქონების გადასახადი.

ბოლო წლებში გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები. დღეისათვის ამ ორი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური. აღნიშნულმა ინსტიტუციურმა რეფორმამ არამხოლოდ დაზოგა ადმინისტრაციული რესურსები, არამედ დააჩქარა გარდაქმნის პროცესები და ჰარმონიზაცია. 2011 წლიდან ძალაშია ახალი საგადასახადო კოდექსი. შეიცვალა მიდგომა გადასახადის გადამხდელის მიმართ და მკაცრი მაკონტროლებელის ნაცვლად გადასახადის გადამხდელებს შემოსავლების სამსახურის სახით გამოუჩნდა სანდო პარტნიორი. ამ მიზნით გატარდა მრავალი რეფორმა, რომლებიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. კერძოდ:

განხორციელებული პროექტები

- დაინერგა რისკზე დაფუძნებული აუდიტი;
- მიმდინარე კონტროლის პროცესი იგეგმება რისკების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
- განხორციელდა საგადასახადო სისტემის ცენტრალიზება;
- მიმდინარეობს კადრების სისტემატური გადამზადება;
- შესაძლებელია პრობლემურ საკითხებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება;
- გადამხელებს მიეცათ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა;
- გამარტივდა საგადასახადო კონტროლის შედეგების გასაჩივრების პროცედურები;
- ამუშავდა შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი (ქოლცენტრი);
- გამარტივდა და დაიხვეწა სერვისები, ვებ-პორტალის - www.rs.ge საშუალებით შესაძლებელი გახდა დეკლარაციების და პირველადი საგადასახადო დოკუმენტების ელექტრონულად შევსება;
- გადამხდელს შეუძლია აიყვანოს პირადი საგადასახადო აგენტი (PRIVĚ);
- პრობლემური საკითხების გადაჭრაში გადამხდელებს ეხმარება უბნის საგადასახადო ოფიცერი;
- მიენიჭათ შეღავათები სპეციალური საგადასახადო რეჟიმების სახით - მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს;
- შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი;
- შემცირდა საბაჟო ტარიფები და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მოქმედებს TAX FREE რეჟიმი;
- ჩამოყალიბდა გაფორმების ეკონომიკური ზონები თბილისში, ბათუმსა და ფოთში;
- კეთილსინდისიერი გადამხდელებისთვის ამოქმედდა GOOD FAITH პრინციპი -გაფრთხილება ჯარიმის ნაცვლად და სხვა.

დამატებითი ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ განცხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია 25-ე გვერდზე.



საბიუჯეტო მიმოხილვა და საგადასახადო შემოსავლები

„საბიუჯეტო მიმოხილვა და საგადასახადო შემოსავლები

აღნიშნული რეფორმების შედეგად ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო შემოსავლები და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.



გადამხდელთა სტატუსი

გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. სამართლებრივი სტატუსის მიხედვით, გადასახადის გადამხდელები იყოფიან ფიზიკურ და იურიდიულ პირებად. ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდება რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა, რაც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა



ფიზიკური და იურიდიული პირების წილი საერთო საგადასახადო შემოსავლებში

ფიზიკური და იურიდიული პირების წილი საერთო საგადასახადო შემოსავლებში 2005 წლიდან 2014 წლის ჩათვლით



საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

ჩვენი მიზანი

საგადასახადო შემოსავლების და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა და ეფექტური განაწილება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ სექტორზე

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მაჩვენებლის მაქსიმალურად გაზრდა

- **საგადასახადო ვადებულებების ნებაყოფლობითი შესრულების ხელშეწყობა**
  - ინფორმაციის მიწოდება
  - პროცედურების გამარტივება
  - პრობლემური საკითხების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა,
  - უწყვეტი კომუნიკაცია
- **არაკეთილსინდისიერი გადამხდელების მკაცრი კონტროლი**
  - აუდიტი
  - მიმდინარე კონტროლი
  - კანონის სრული სიმკაცრის გამოყენება

შემოსავლების სამსახურის მიდგომა საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მიმართ

გადასახადის გადამხდელთა უმეტესობა ნებაყოფლობით იხდის კუთვნილ გადასახადს და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარების საქმეში, მაგრამ ყოველთვის არსებობენ პირები, რომლებიც არ ასრულებენ საკანონმდებლო ვალდებულებებს სხვადასხვა მიზეზების გამო. შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა "საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია", რომლის ფარგლებში მისი მიზანია არამხოლოდ საგადასახადო კონტროლის გზით საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა, არამედ გადასახადის გადამხდელთა ქცევის შესწავლა, შეფასება და მათზე რეაგირება გადასახადების ნებაყოფლობით გადასახდელად. აგრეთვე ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც მინიმუმადე დაიყვანს გადამხდელის მხრიდან შეცდომის დაშვების ალბათობას და მაქსიმალურად გაამარტივებს საგადასახადო ანგარიშგების პროცესს. ჩვენი სურვილია, დავეხმაროთ იმ გადამხდელებს, რომლებიც ცდილობენ ნებაყოფლობით გადაიხადონ გადასახადები და ვთანამშრომლობთ მათთან დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით. ასევე მკაცრად და სამართლიანად ვაგრძელებთ იმ გადამხდელების კონტროლს, რომლებიც სათანადოდ არ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადამხდელთა ქცევაზე:



გადასახადის გადამხდელი

შემოსავლების სამსახურის მიდგომა საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მიმართ

აღნიშნული ფაქტორების შედეგად, გადამხდელები თავიანთი ქცევის მიხედვით იყოფიან 4 ძირითად ჯგუფად:



ზემოთ მოცემულ პირამიდაზე გამოსახულია გადამხდელთა ტიპები და შემოსავლების სამსახურის სტრატეგია გადამხდელის თითოეული ტიპის მიხედვით. პირამიდის ზედა ნაწილში მოქცეული არიან ურჩი გადამხდელები, რომლებიც არ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს, ხოლო პირამიდის ქვედა ნაწილში – კეთილსინდისიერი გადამხდელები. ჩვენი მიზანია პირამიდის ზედა ნაწილში მოქცეული გადამხდელები მივმართოთ ქვედა ნაწილისაკენ. ზემოაღნიშნულის მისაღწევად ვიყენებთ ინდივიდუალურ მიდგომას გადამხდელთა თითოეული ჯგუფის მიმართ.

მიზანმიმართულად არ იხდიან გადასახადებს გადამხდელთა იმ მცირე ჯგუფის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად არ იხდის გადასახადებს, ჩვენ ვმოქმედებთ კანონის სრული სიმკაცრით, ამ მიზნით უწყვეტად მიმდინარეობს კანონდარღვევების და თაღლითობის ფაქტების შესწავლა/გამოვლენა და გადამხდელთა მიმართ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება. 2014 წლის მონაცემებით აუდიტის დეპარტამენტის მიერ შემოწმებული პირებისთვის დამატებით დარიცხულმა თანხებმა შეადგინა სულ 648,072,007 ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა - 418,327,379 ლარი, ჯარიმა -229,744,628 ლარი. 2014 წელს მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად დარიცხულმა თანხებმა კი შეადგინა 34,070,116 ლარი.

ცდილობენ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებენ გადამხდელთა მიერ გადახდილი გადასახადები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაში, ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ მაქსიმალურად ლოიალურები მათ მიმართ, დავეხმაროთ სხვადასხვა პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში, მივაწოდოთ ინფორმცია საგადასახადო ვალდებულებების შესახებ.

არ აქვთ სურვილი გადაიხადონ გადასახადები გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტები ჩვენთვის დიდხანს უცნობი ვერ დარჩება. ამისთვის ვიყენებთ ფართო საინფორმაციო ბაზებს, რომლებიც მოიცავს გადამხდელის მიერ გამოწერილ და ჩათვლილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს, ელ.სასაქონლო ზედნადებებს, საბაჟო ოპერაციის ამსახველ დოკუმენტებს, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებულ ტრანსაქციებს და ხდება აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი გადამხდელის მიერ დეკლარირებულ მონაცემებთან მიმართებაში.

სურვილი აქვთ გადაიხადონ გადასახადები გადამხდელთა უმეტესობა კეთილსინდისიერად ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს. შესაბამისად ჩვენ უზრუნველვყოფთ მომსახურების მაქსიმალურად გამარტივებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას მათ დასახმარებლად.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების შეფასება და შემოსავლების სამსახურის მიდგომა გადამხდელთა 4 ჯგუფის მიხედვით

გადახდილი გადასახადების ფისკალური შედეგი

N2 ძირითადი გადამხდელები

- ეხება იმ გადამხდელებს რომელთა მიერ ბიუჯეტში გადახდილ გადასახადებს აქვთ მაღალი ფისკალური შედეგი და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების დაბალი რისკი
- **სტრატეგია:** ურთიერთობა, მხარდაჭერა და **უწყვეტი მონიტორინგი**
- **შემოსავლების სამსახურის მიდგომა:** დეკლარირებული მონაცემების მუდმივი ანალიზი, პრობლემური საკითხების მიმოხილვა გადამხდელებთან ერთად და ამ საკითხების გადაწყვეტა

N1 მაღალი რისკის მქონე გადამხდელები

- ეხება იმ გადამხდელებს რომელთა მიერ ბიუჯეტში გადახდილ გადასახადებს აქვთ მაღალი ფისკალური შედეგი და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მაღალი რისკი
- **სტრატეგია:** დროული გამოვლენა, პრევენცია და კანონის სრული სიმკაცრე.
- **შემოსავლების სამსახურის მიდგომა:** რისკის ფაქტორების მიმოხილვა, მესამე მხარის ინფორმაციების ინტენსიური გამოყენება, კომპლექსური აუდიტორული შემონმება, გამოვლენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით საგამოძიებო სამსახურებთან თანამშრომლობა

N4 დაბალი რისკის მქონე გადამხდელები

- ეხება იმ გადამხდელებს რომელთა მიერ ბიუჯეტში გადახდილ გადასახადებს აქვთ შედარებით დაბალი ფისკალური შედეგი და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების დაბალი რისკი
- **სტრატეგია:** გამარტივება და ხელშეწყობა
- **შემოსავლების სამსახურის მიდგომა:** საკონსულტაციო სახის ვიზიტები, საინფორმაციო ბროშურების დარიგება და სიახლეებიის მუდმივი გაცნობა, მიზნობრივი, ფართომასშტაბიანი კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით,გადამხდელთა ჯგუფების პერიოდული მონიტორინგი

N3 საშუალო რისკის მქონე გადამხდელები

- ეხება იმ გადამხდელებს რომელთა მიერ ბიუჯეტში გადახდილ გადასახადებს აქვთ შედარებით დაბალი ფისკალური შედეგი და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მაღალი რისკი
- **სტრატეგია:** დახმარება და წახალისება
- **შემოსავლების სამსახურის მიდგომა:** გადამხდელებთან საკონსულტაციო სახის ვიზიტები, გადამხდელთა საგანმანათლებლო პროგრამები, სამუშაო შეხვედრები, სატელეფონო ზარები, კონკრეტული რისკის ფაქტორების მიმოხოლვა და აუდიტი

გადასახადების გადახდისგან თავის არიდების რისკი

შემოსავლების სამსახურის მიერ რესურსების განაწილება გადამხდელთა 4 ჯგუფის მიხედვით



შემოსავლების სამსახურის მიერ დახარჯული რესურსის ოდენობა

გადამხდელების რაოდენობა კონკრეტულ კვადრატში

გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მიზეზები

გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზეზების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავზარდოთ საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობა, შესაბამისად უზრუნველვყოთ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და მათი სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივ სექტორებზე.

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც გადამხდელები არაჯეროვნად იხდიან კუთვნილ გადასახადებს:

1. არასაკმარისი ცოდნა;
2. არასაკმარისი შესაძლებლობები;
3. არასაკმარისი სურვილი.

,,საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის“ პროგრამის ფარგლებში შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა სხვადასხვა მიდგომა ზემოთ აღნიშნულ მიზეზებთან მიმართებაში:

არასაკმარისი ცოდნა - ინფორმაციის მიწოდება

- სახელმძღვანელოები - ყველა გადამხდელს მიეცემა საშუალება გაეცნოს სახელმძღვანელოს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები;
- ბუკლეტები - გადამხდელებს დაურიგდებათ საინფორმაციო ბუკლეტები და ჟურნალები;
- მოკლე ტექსტური შეტყობინება - გადასახადის გადამხდელებს გაეგზავნებათ საგადასხადო ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება;
- ფორუმები - გადასახადის გადამხდელებს საშუალება მიეცემათ დასვან შეკითხვები, განიხილონ პრობლემატური საკითხები, გააზიარონ თავიანთი შეხედულებები და მიიღონ სწრაფი პასუხი.

არასაკმარისი შესაძლებლობები - პრობლემატური საკითხების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა, მარტივი კომუნიკაცია

- სერვის ცენტრები - გადამხდელებს საშუალება აქვს მომსახურება მიიღოს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის სერვის ცენტრებში საქართველოს დიდ ქალაქებში. სერვის ცენტრები უზრუნველყოფენ გადასახადის გადამხდევვ–ლის მომსახურების პროცესში წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლას და მათი გადაწყვეტის მიზნით, შესაბამის რეაგირებას; მუდმივად მიმდინარეობს სერვის ცენტრების მომსახურების დახვეწა, რათა გდამხდელებს საშუალება მიეცეთ მიიღონ საგადასახადო მომსახურება უფრო სწრაფად და ეფექტურად;
- ქოლ ცენტრი - ქოლ ცენტრის ოპერატორები უწევენ კონსულტაციას გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. გადამხდელთა მზარდი ინტერესიდან გამომდინარე იგეგმება ქოლ ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა, რათა შეუფერხებლად მიაწოდონ მათთვის საინტერესო საკითხის შესახებ ინფორმაცია. ამასთან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად მიმდინარეობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- PRIVĒ - გადასახადის გადამხდელებს პრობლემატური საკითხების გადაჭრაში დახმარებას უწევენ PRIVĒ-ს თანამშრომლები. აღნიშნული სერვისის სრულყოფის მიზნით შეიქმნება დამატებითი ჯგუფი, განსაკუთრებით რთული და პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად;
- უბნის ოფიცრები - გადამხდელებს მიაწოდებენ ინფორმაციას საგადასახადო სიახლეების შესახებ, დაარიგებენ ბუკლეტებსა და ჟურნალებს.

არასაკმარისი სურვილი - გადამხდელთა დადებითი განწყობა, სახელმწიფოს მიმართ ნდობის ამაღლება

- მარკეტინგი - მოსახლეობა მედიის საშუალებით გაეცნობა საინფორმაციო - სარეკლამო რგოლებს;
- თოქ შოუები - მოწვეული ექსპერტები განმარტავენ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს პირდაპირ ეთერში, სადაც საზოგადოებას მიეცემა საშუალება დასვას სასურველი კითხვები;
- სიახლეები - გამოქვეყნდება ინფორმაცია შემოსავლების სამსახურში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლიბებების შესახებ, როგორიცაა განვითარების გეგმა, კადრების დამატება, გადამზადება და ა.შ.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია გადამხდელების ინფორმირება მათ მიერ გადახდილი გადასახადებისა და აღნიშნული გადასახადებით მობილიზებული შემოსავლების სხვადასხვა სექტორში განაწილების შესახებ. შესაბამისად, გადამხდელი უფლებამოსილია, ფლობდეს ინფორმაციას

მთლიანი შემოსავლების რა ნაწილს შეაგდენს საგადასახადო შემოსავლები



საგადასახადო შემოსავლები გადასახდების მიხედვით 2014 წელს



- დამატებული ღირებულების გადასახადი
- მოგების გადასახადი
- ქონების გადასახადი
- საბაჟო გადასახადი
- აქციზი
- საშემოსავლო გადასახადი

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა გადასახადების მიხედვით



როგორ ნაწილდება საბიუჯეტო შემოსულობები სხვადასხვა სექტორზე



1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2 სხვა დანარჩენი ხარჯები

3 მუნიციპალიტეტების დაფინანსება

4 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

5 სახელმწიფო ვალის მომსახურება

6 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

7 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

8 შინაგან საქმეთა სამინისტრო

9 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

10 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საგადასახადო შემოსავლების შედეგად ფინანსდება ჯანდაცვა, განათლება, უსაფრთხოება, ინფრასტურქტურა და სხვა ძირითადი სოციალური სფეროები. ის გადამხდელი, რომელიც არ იხდის კუთვნილ გადასახადს, აზიანებს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას, რადგან გადასახადების ტვირთი აწვება იმ გადამხდელებს, რომლებიც პატიოსნად იხდიან გადასახადებს.

ურთიერთობა მარტივია
www.rs.ge

შემოსავლების სამსახურის 2015-2016 წლების გადასახადის გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

რისკის იდენტიფიკაცია და ანალიზი

რისკების იდენტიფიცირების და ანალიზის ეტაპზე განხორციელდა შიდაუწყებრივი გამოკითხვა, ანალიზი გაუკეთდა განვლილ პერიოდში ჩატარებულ საგადასახადო შემოწმებებისა და მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგებს, დამუშავდა შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზა და გამოიკვეთა ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების სტრატეგიის პრიორიტეტული ჯგუფები.

ეფექტური სტრატეგიის შემუშავება

რისკების იდენტიფიცირების და ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტული ჯგუფების მიმართ შემუშავდა და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა თითოეული მიზნობრივი ჯგუფის მიმართ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური სამოქმედო გეგმა.

ძირითადი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება

შემუშავებული გეგმის ეფექტური განხორციელებისთვის ჩვენ გამოვიყენებთ ყველა იმ რესურსსა და ინსტრუმენტს, რომელიც გააჩნია შემოსავლების სამსახურს, როგორიცაა გამარტივებული მომსახურება, გადამხდელებთან მჭიდრო კომუნიკაცია, საინფორმაციო საშუალებები და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული მკაცრი კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული გეგმის განხორციელების საწყის ეტაპს წარმოედგენს „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის“ დოკუმენტის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის, სადაც შემოსავლების სამსახური მკაფიოდ აფიქსირებს საგადასახადო რისკის შემცველ პრიორიტეტულ სფეროებს.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფებია:

აღნიშნული გადასახადის გადამხდელები წარმოადგენენ შემოსავლების სამსახურის 2015 -2016 წლების საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის მთავარ პრიორიტეტებს.

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge



ფიზიკური პირები

საქართველოში გადასახადის გადამხდელთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ ფიზიკური პირები, თუმცა მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები შეადგენს საერთო საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 7%-ს. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს ერთი მხრივ, გადასახადის გადამხდელთა არასაკმარისი ცოდნით, გადაიხადონ კუთვნილი გადასახადები, მეორე მხრივ, აღნიშნული სექტორის ადმინისტრირების სირთულით. აღსანიშნავია ისიც, რომ ფიზიკური პირი ნებისმიერი იურიდიული პირის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელის დამფუძნებელი ან/და საბოლოო ბენეფიციარია. აქედან გამომდინარე, ჩვენი სტატეგიის ფარგლებში პირველ სამიზნე ჯგუფს სწორედ ფიზიკური პირები წარმოადგენენ. ჩვენი მიზანია აღნიშნული ფიზიკური პირებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესაძლო წარმოშობის შესახებ, რათა ნებაყოფლობით გადაიხადონ კუთვნილი გადასახადები. ამასთანავე გამკაცრდება იმ პირთა საგადასახადო კონტროლი, რომლებიც შეგნებულად არიდებენ თავს წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესება პირდაპირპროპორციულად აისახება იურიდიული პირების გადახდევინების მაჩვენებელზეც, ვინაიდან ნებისმიერი იურიდიული პირის უკან დგას ფიზიკური პირი და მათი საგადასახადო ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

2015-2016 წლებში შემოსავლების სამსახური ორიენტირებულია ადმინისტრირება განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილ ფიზიკურ პირთა ჯგუფებზე:

- ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები;
- უძრავი ქონების მეიჯარე ფიზიკური პირები;
- იპოთეკარი ფიზიკური პირები;
- მაღალი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

სამშენებლო საქმიანობა

საქართველოში სამშენებლო საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და სწრაფად განვითარებადი სფეროა. ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა რიცხვი. ჩატარებული საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგებმა აჩვენა, რომ ამ სფეროში მიმდინარე პოზიტიური მოვლენების მიუხედავად, დიდია გადასახადების გადახდისგან თავის არიდების და გადასახადების დამალვის ფაქტები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურმა 2015-2016 წლების საგადასახადო ვადებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა სამშენებლო სფეროში საგადასახადო აღრიცხვის მონესრიგება.



ავტონაწილებით ვაჭრობა

ბოლო ორი წლის განმავლობაში ავტომანქანის მეორადი ნაწილებით ვაჭრობით დაკავებული არის 3,000-მდე პირი. ავტონაწილებით ვაჭრობის სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე, ხშირად გადასახადის გადამხდელები არასწორად აღრიცხავენ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობას, რაც წარმოშობს აღურიცხავი საქონლით ვაჭრობის რისკს. ავტონაწილების ბაზარზე აღურიცხავი საქონლით ვაჭრობა პრობლემას წარმოადგენს როგორც გამყიდველისთვის (გაზრდილი საგადასახადო რისკები), ასევე მყიდველისთვის (მაღალი ფასები).

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტიორები

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტიორების სეგმენტს. ბოლო ორი წლის განმავლობაში 1000-მდე გადამხდელის მიერ განხორციელდა 183 მლნ. ლარამდე ხილ-ბოსტნეულის იმპორტი. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში მთავარ პრობლემას წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღრიცხვა. ამასთან ხშირია შემთხვევები, როდესაც გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერას საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული ქმედება არათანაბარ პირობებში აყენებს სოფლის მეურნეობით დაკავებულ ადგილობრივ და იმპორტიორ პირებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია აღნიშნულ სფეროში საგადასახადო აღრიცხვიანობის მოწესრიგება და შესაბამისად კონკურენტული გარემოს შექმნა.

სარესტორნო მომსახურება

დღევანდელი მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 6,000-მდე საზოგადოებრივი კვების ობიექტი. წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ აღნიშნულ სფეროში მოქმედი გადასახადის გადამხდელები ხშირად არასწორად ახორციელებენ დანახარჯების კალკულაციას. ასევე არ ხდება მათი მხრიდან მიღებული შემოსავლების სრულად აღრიცხვა. აქედან გამომდინარე შემოსავლების სამსახურის 2015-2016 წლების საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საზოგადოებრივი კვების დარგში აღრიცხვიანობის მოწესრიგებაა.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირები

2015-2016 წლების საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის ბოლო სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირები. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიას ფლობს 3,134 პირი.საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი პირები არასწორად განსაზღვრავენ კუთვნილ საგადასახადო ვალდებულებებს. კერძოდ, ლიცენზიის აღების შემდეგ გადამხდელი რეგისტრაციის გარეშე აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე რეგისტრირებული გადამხდელების მიერ არ ხდება მოპოვებული ბუნებრივი რესურსების სასაქონლო მატერიალურ მარაგებში სრულად ასახვა, კუთვნილი მიწის გადასახადის გადახდა და ა.შ.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის ფარგლებში ჩვენ ვთანამშრომლობთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან და გადასახადის გადამხდელებთან, რათა ხელი შევუწყოთ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებას, რაც გამოიწვევს ჩასატარებელი საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შემცირებას.

განხორციელებული პროექტები

რისკზე დაფუძნებული აუდიტი

საგადასახადო შემოწმებებისთვის გადასახადის გადამხდელები შეირჩევიან „რისკების პროგრამის" საშუალებით. პროგრამა, წინასწარ განსაზღვრული და მასში იმპლემენტირებული რისკის კრიტერიუმების საშუალებით, ამუშავებს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზებში არსებულ ინფორმაციებს. კრიტერიუმების საფუძველზე გადამხდელებს ენიჭებათ რისკის (შეფასების) ქულები, რომლებიც შემდგომში განსაზღვრავენ კონკრეტული გადამხდელის ან გადამხდელთა ჯგუფის რისკის დონეს. შესაძლებელია, გადამხდელი ან გადამხდელთა ჯგუფი შემოწმებისთვის შეირჩეს ინდივიდუალურად, კონკრეტული რისკის შემცველი თემის შესაბამისად.

ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემა

საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაცია. კერძოდ, ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული საგადასახადო სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციას.

კადრების სისტემატური გადამზადება

შემოსავლების სამსახურში სისტემატურად მიმდინარეობს კადრების გადამზადება ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ. თანამშრომელთა კვალიფიკაციის და უნარების ამაღლების მიზნით, შემოსავლების სამსახური ასევე ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა OTA, IOTA, OECD....და ა.შ,

რისკზე დაფუძნებული მიმდინარე კონტროლის პროცედურები

ელექტრონული მომსახურების ფართოდ დანერგვას შედეგად მოჰყვა გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს შორის ურთიერთობის გამარტივება, საგადასახადო კონტროლის შესაძლებლობების ზრდა, გადასახადის გადამხდელის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების მაქსიმალური სიზუსტით ასახვა მონაცემთა ერთიან კომპიუტერულ ბაზაში და შესაძლო სამართალდარღვევათა სწრაფი გამოვლენა. ამ მიზნით შეიქმნა საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების დაცვის კონტროლის ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებითაც ვგეგმავთ საკონტროლო შესყიდვებს და ამით მინიმუმამდე დაგვყავს საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების სუბიექტურ ფაქტორებზე დამოკიდებულება.

წინასწარი გადაწყვეტილება

შემოსავლების სამსახურმა წინასწარი გადაწყვეტილების სახით გადასახადის გადამხდელებს მომსახურების ახალი ტიპი შესთავაზა. წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე, გადამხდელები შემოსავლების სამსახურთან ათანხმებენ განსახორციელებელი ან განხორციელებული საქმიანობის, ოპერაციის დაბეგვრის პირობებსა და შესაბამისად წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებს, რაც მთლიანად გამორიცხავს გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის უთანხმოებებსა და გაუგებრობებს. აღნიშნული სერვისის პოპულარობას ადასტურებს უკვე გამოცემული 200-მდე წინასწარი გადაწყვეტილება.

განხორციელებული პროექტები

საგადასახადო შეთანხმება

გადასახადის გადამხდელს მიენიჭა უფლება, მიმართოს შემოსავლების სამსახურს გადასახადების ან სანქციების შემცირების მიზნით და განსაზღვროს ის საგადასახადო პერიოდი, ან პერიოდები, რომლის მიმართაც სურს, გამოიყენოს საგადასახადო შეთანხმების მექანიზმი. აღნიშნული წარმოადგენს კიდევ ერთ საკანონმდებლო ინსტრუმენტს, რათა გადასახადის გადამხდელმა შეძლოს დაკისრებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება, რაც შემდგომში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის პარტნიორული და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის საფუძველია.

საგადასახადო კონტროლის შედეგების გასაჩივრების გამარტივებული პროცედურები

შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავდა სისტემა, რაც გულისხმობს საგადასახადო კონტროლის პროცედურების მიმდინარეობისას გადამხდელისათვის საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებამდე აქტის პროექტის გაცნობას, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგადასახადო კონტროლის სავარაუდო შედეგები. გადასახადის გადამხდელს პრეტენზიის შემთხვევაში აღნიშნული აქტის პროექტის განხილვა - გასაჩივრება შეუძლია მედიაციის საბჭოს სხდომაზე. აქტის პროექტის განხილვა-გასაჩივრების პროცესში გადამხდელის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებითი გადახდევინების ღონისძიებები.

შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი (ქოლცენტრი)

შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრის (ქოლცენტრი) - მიზანია გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებსა და პროცედურებზე საბაზისო სატელეფონო ინფორმაცია მიაწოდოს.
საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის მეშვეობით გადამხდელს შესაძლებლობა ეძლევა ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია როგორც საკანონმდებლო სიახლეებსა და პროცედურულ ღონისძიებებზე, ასევე შემოსავლების სამსახურის საქმიანობაზე.
ელექტრონულ სერვისებზე წვდომის გასამარტივებლად, გადამხდელს შეუძლია სატელეფონო სერვისით ისარგებლოს და საგადასახადო სერვისცენტრში მიუსვლელად, საგადასახადო დეკლარირების განხორციელების მიზნით, ელექტრონული აქტივაცია განახორციელოს.
შემოსავლების სამსახურის ქოლცენტრის ზარების განაწილების სისტემა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, თავადვე აირჩიოს საბაჟო ან საგადასახადო კონსულტანტი და მიიღოს სწრაფი და კვალიფიციური მომსახურება.

ურთიერთობა მარტივია
www.rs.ge

განხორციელებული პროექტები

გამარტივებული და დახვეწილი სერვისები, ვებ-პორტალი WWW.RS.GE ელ. დეკლარირება, ელ. ფაქტურები და ზედნადებები

გადასახადის გადამხდელისთვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად შემოსავლების სამსახურმა დანერგა მრავალი სახის ელექტრონული მომსახურება. ვებ-პორტალის საშუალებით, ოფისიდან გაუსვლელად, ზედმეტი დანახარჯების გარეშე, შესაძლებელია შემოსავლების სამსახურთან კომუნიკაცია, გადასახადების ელექტრონული დეკლარირება, ინტერნეტ-გადახდები, დაჩქარებული მომსახურების მიღება, განცხადებებისა და დოკუმენტაციის, მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და სასაქონლო ზედნადებების ელექტრონულად წარდგენა და მათი შესრულების მდგომარეობაზე მეთვალყურეობა ონლაინ რეჟიმში. აქვე განთავსებულია საგადასახადო კოდექსის ტექსტური და ვიდეო ვერსიები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განმარტებების მოსმენა. გადამხდელებმა ნებისმიერ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასა და განმარტებას, ასევე რეკომენდაციებს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, შესაძლებელია მიმართონ ელექტრონულად, პირადი ელექტრონული ფოსტიდან მისამართზე: info@rs.ge წერილის გამოგზავნის გზით. სრულყოფილი და ამომწურავი პასუხი მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე იგზავნება 1 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ტიპის წერილები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მატერიალური ფორმითაც, რომელზეც პასუხის გაცემა ხდება ფოსტის მეშვეობით.

პირადი საგადასახადო აგენტი (PRIVĚ)

შემოსავლების სამსახურმა დანერგა პირადი საგადასახადო აგენტის ინსტიტუტი. აგენტი გადასახადის გადამხდელს ეხმარება კანონმდებლობაში შეტანილი სიახლეების გაცნობაში, უადვილებს საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობას, აძლევს რჩევებს, უზოგავს დროსა და ენერგიას. პირადი საგადასახადო აგენტი არის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც იცავს გადასახადის გადამხდელის ინტერესებს და ცდილობს, მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მას.

უბნის საგადასახადო ოფიცერი

ამოქმედდა უბნის საგადასახადო ოფიცრის ინსტიტუტი. საგადასახადო ოფიცრის მთავარი მოვალეობაა გადასახადის გადამხდელების დახმარება პრობლემების მოგვარების კუთხით, კონსულტაციის გაწევა. საგადასახადო ოფიცრები უბნების მიხედვით გადანაწილდნენ. ისინი ყოველდღიურად ხვდებიან გადამხდელებს, უწევენ საჭირო დახმარებას და აცნობენ შემოსავლების სამსახურში მიმდინარე რეფორმებსა თუ სიახლეებს. უბნის საგადასახადო ოფიცერი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, შესაბამისად, გადასახადის გადამხდელებს ადგილზევე შეუძლიათ რამდენიმე მომსახურების მიღება, რაც აქამდე მხოლოდ სერვის-ცენტრებში იყო შესაძლებელი. უბნის საგადასახადო ოფიცრის ფუნქციაში არ შედის გადამხდელთა დაჯარიმება. ის ორიენტირებულია მხოლოდ მეწარმეთა კონსულტირებაზე და მათ დახმარებაზე. გადასახადის გადამხდელს შეუძლია ნებისმიერი საკითხის განხილვა საგადასახადო ოფიცერთან, უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კი ამას არ მოყვება საგადასახადო შემოწმება.

განხორციელებული პროექტები

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge

სპეციალური საგადასახადო რეჟიმები - მიკრო და მცირე ბიზნესისათვის

ახალმა საგადასახადო კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა მიკრო და მცირე ბიზნესის არსი,დაადგინა შეღავათიანი და მარტივად ადმინისტრირებადი გადასახადის განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის (ბრუნვის 3% ან 5%-ით დაბეგვრა). მიკრო ბიზნესი გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია.

საგადასახადო ომბუდსმენი

დაინერგა გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ახალი მექანიზმი - საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს და გამოავლენს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტებს, ასევე ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საბაჟო ტარიფები, TAX FREE

2007 წლამდე იმპორტი იბეგრებოდა 16 სხვადასხვა ტარიფით 0%-დან 30% მდე განაკვეთით, დღეისათვის მოქმედებს 3 სატარიფო განაკვეთი 12%, 5% და 0%; ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული საქონლის 80% ნულოვანი ტარიფით იბეგრება. 2005 წლამდე იმპორტის პროცედურისათვის აუცილებელი იყო 54 დოკუმენტი, რაც იწვევდა მრავალ სიძნელეს იმპორტიორისათვის და კორუფციულ გარემოს ქმნიდა, დღეის მდგომარეობით, იმპორტის პროცედურისათვის საჭიროა მხოლოდ 2 დოკუმენტი. 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება" ამოქმედდა. აღნიშნული შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული საქონლის ამავე ტერიტორიაზე საბაჟო (იმპორტის) გადასახადების გარეშე მოძრაობას ითვალისწინებს.

TAX FREE გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის დაბრუნებას განსაზღვრულ ვადაში ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთამდე. ამ მომსახურების მიზანია ქართული ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და სტიმულირება. მან მალევე მოიპოვა გამოხმაურება კერძო სექტორის მხრიდან და ამჟამად მრავალ მაღაზიაშია შესაძლებელი TAX FREE მომსახურების მიღება.

გაფორმების ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება თბილისში, ბათუმსა და ფოთში

გაფორმების ეკონომიკური ზონა არის საქართველოში უპრეცედენტო სიდიდის, რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული გაფორმების ცენტრი, აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ელექტრონული საშუალებებით, სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომით ასეულობით სატვირთო ავტომანქანაზე. გეზ-ში შესაძლებელია ერთდროულად შეუზღუდავი რაოდენობის იმპორტიორის მომსახურება, კვირაში შვიდი დღისა და 24 საათის განმავლობაში. ამჟამად მოქმედებს გაფორმების ეკონომიკური ზონები თბილისში, ბათუმსა და ფოთში. უმთავრესი სიახლე, რამაც მთლიანად შეცვალა იმპორტის პროცედურები - ეს არის ახალი სტანდარტი - ტვირთი ფორმდება მაქსიმუმ 15 წუთის განმავლობაში, ხოლო წითელი დერეფნის შემთხვევაში - 1 საათის განმავლობაში. ამასთან, ტვირთის გაფორმებისას იმპორტიორს აღარ უწევს ძვირადღირებული ბროკერის, დეკლარანტის/ექსპერტისა და სხვა შუამავლების დაქირავება, რაც ზოგავს იმპორტიორის ფინანსურ და შრომით დანახარჯებს. გეზ-ში ტვირთის გაფორმების საფასურის გადახდა შესაძლებელია 5-დღიანი გადავადებით, ხოლო წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში – 15 დღიანი გადავადებით. იმპორტიორის სურვილის შემთხვევაში ტვირთის ტრანსპორტირება შესაძლებელია, განხორციელდეს დანიშნულების ადგილამდე.

გაფრთხილება ჯარიმის ნაცვლად, GOOD FAITH

საგადასახადო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ, შემოსავლების სამსახური აღჭურვა უფლებამოსილებით - ცალკეულ საგადასახადო სამართალდარღვევების პირველად გამოვლენის შემთხვევებში არ გამოიყენოს ფულადი ჯარიმა და შემოიფარგლოს გაფრთხილებით.
ამასთან საგადასახადო ორგანოს,დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით,არცოდნით. (GOOD FAITH)

ბანდაგზმულობის ვადა

საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა შემცირდება, კერძოდ:

ა) 2015 წლის 1 იანვრიდან – 5 წლამდე;
ბ) 2016 წლის 1 იანვრიდან – 4 წლამდე;
გ) 2017 წლის 1 იანვრიდან – 3 წლამდე.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების ელექტრონულად გაფორმების პროგრამა

შემოსავლების სამსახური მუდმივად ცდილობს დანერგოს სიახლეები. საპილოტე რეჟიმშია მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების ელექტრონულად გაფორმების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საგადასახადო ოფიცრები აღიჭურვებიან თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ გადამხდელთა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, განზოგადება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელების მიმართ მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვას და განხორციელებას.

გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში!

აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების ფარგლებში თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური პოლიტიკის დეპარტამენტის ექპერტებს მარტინ სკოტს, პიტერ ბარანდს, ენრიკო აავს და ბრიუს ქუიგლს.

შემოსავლების სამსახური

ცენტრალური აპარატი:

ვ.გორგასლის ქ. #16,
0114, თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: info@rs.ge

ცხელი ხაზი: 2 299 299

ვებ გვერდი: www.rs.ge

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია

ურთიერთობა მარტივია

www.rs.ge